MES 4 23 0001502150

07/11/2023

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-18 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 24 ოქტომბერს 14:00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Time: Oct 24, 2023 02:00 PM Tbilisi
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/89296099159?pwd=L3ZZZHVEdWFsYjZZLzYyUVJTMGdzUT09
Meeting ID: 892 9609 9159
Passcode: 498142

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:
ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
მარიკა ზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - ,,კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი (საბჭოს მდივანი);

სალომე სანაია - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
ნატო მებურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);
მარიამ შოთაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის კოლეჯების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
სალომე ქუთათელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენელი:
ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა
გიორგი მაღლაკელიძე - დირექტორი
ზაზა ამირეჯიბი - მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამების მენეჯერი
ნინო ხაჩიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი
თემურ ლორთქიფანიძე - დირექტორი
ნინო ძაგანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

სსიპ კოლეჯი „მოდუსი“
ნინო ქავთარაძე - დირექტორი
მადონა გოგობერიშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი
მაია დალაქიშვილი - დირექტორის მოადგილე სასწავლო პროცესის ორგანიზების დარგში
რუსუდან ქურასბედიანი - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი
მანანა მოისწრაფიშვილი - დირექტორი
გიორგი გივიშვილი - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი
ლევან ელერდაშვილი - პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართული მეწარმე სუბიექტის წარმომადგენელი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგის ექსპერტები:
ვახტანგ ჩიხრაძე
ბადრი ასათიანი

ნიკოლოზ მედულაშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით, შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით არ იყო.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „ექსტრემალური სპელეოტურის გამყოლი“ /01650/ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული პრომეთეს, მელოურის, ბღერის და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში არსებული ხავერდოვანას და ფოთოლცვენის მღვიმეში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

2. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის „ძალოსნობისა და კროსფიტის ინსტრუქტორი“ /01749/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

3. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის „მძლეოსნობის ინსტრუქტორი“ /01747/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

4. სსიპ კოლეჯ „მოდუსის“ „ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი“ /01723/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

5. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის „ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი“ /01739/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს სხდომა წარიმართა დღის წესრიგის მიხედვით

1. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „ექსტრემალური სპელეოტურის გამყოლი“ /01650/ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული პრომეთეს, მელოურის და ბღერის, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ხავერდოვანას და ფოთოლცვენის მღვიმეში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა სალომე ქუთათელაძემ, მან აღნიშნა, რომ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 19 სექტემბრის №1180643 ოქმის, ,,ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლისთვის „ექსტრემალური სპელეოტურის გამყოლი“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული პრომეთეს, მელოურის და ბღერის მღვიმეში პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ'' საბჭოს 2023 წლის 19 სექტემბრის №1182055 გადაწყვეტილების საფუძველზე, ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლამ 2023 წლის 04 ოქტომბერს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) ელექტრონული სისტემით (qms.eqe.ge) წარმოადგინა განახლებული განაცხადი (ID 01650) და პროგრამა.
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 04 ოქტომბრის №1302681 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა, ვახტანგ ჩიხრაძემ შეისწავლეს წარმოდგენილი შეცვლილი პროფესიული მომზადების პროგრამა.

1.3 ქვესტანდარტთან მიმართებაში დაფიქსირებული იყო შემდეგი სახის ხარვეზი და რეკომენდაციები.
ხარვეზი: „მსმენელებიდაეუფლებიან სათავგადასავლო ტურიზმის საფუძვლებს, პირველადი გადაუდებელი დახმარების საკითხებს, ვიზიტორებთან მუშაობის და კომუნიკაციის ფორმებს, მღვიმის თვისებურებების აღწერას, სპელეო ტურის დაგეგმვას, უსაფრთხოების წესების დაცვით და სპელეო აღჭურვილობის გამოყენებით, მღვიმეში თოკით დაშვება - ამოსვლას, ორიენტირებას, სპელეო ტურის გაძღოლას და მღვიმეში სამაშველო ოპერაციის ჩატარებას“. სამაშველო ოპერაციის ჩატარებას მღვიმეში ვერ შეძლებს მსმენელი პროგრამით გათვალისწინებულ დროში. მიზანშეწონილია, ეს სწავლის შედეგი არ განისაზღვროს პროგრამაში ან მოხდეს ფორმულირება და განისაზღვროს ავტონომიურობის და პასუხისმგებლობის როგორი ხარისხით შეძლებს ამის გაკეთებას კურსდამთავრებული ან გაიზარდოს პროგრამის ხანგრძლივობა. მსმენელი პროგრამით განსაზღვრულ დროში შესაძლებელია მხოლოდ სამაშველო ოპერაციის ჩატარების უზრუნველყოფა/ორგანიზების უნარს ფლობდეს.''
დაწესებულებამ გამოასწორა აღნიშნული ხარვეზი, პროგრამის დოკუმენტის ,,პროგრამის მიზანში'' და ,,სწავლის შედეგებში'' არ არის განსაზღვრული ,,სამაშველო ოპერაციის ჩატარება''.
ასევე, გაცემული იყო შემდეგი სახის რეკომენდაციიები:

1. ,,პროგრამის მიზანში დაწესებულებას აქვს ასეთი განმარტება: **,,**პროგრამის მიზანია ექსტრემალური სპელეოტურის გიდად დასაქმების მსურველების პროფესიული მომზადება, რომლებიც შემდგომში, როგორც კომპეტენტური გამყოლები გაუძღვებიან ტურისტს/ტურისტების ჯგუფს ნებისმიერი სირთულის და ხანგრძლივობის ექსტრემალურ სპელეო ტურისტულ მარშრუტზე'', რეკომენდირებულია, რომ მოხდეს ამ ჩანაწერის რედაქტირება და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: **,,**პროგრამის მიზანია ექსტრემალური

სპელეოტურის გიდად დასაქმების მსურველების პროფესიული მომზადება, რომლებიც შემდგომში, როგორც კომპეტენტური გამყოლები გაუძღვებიან ტურისტს/ტურისტების ჯგუფს წინასწარ ინფრასტრუქტურულად მომზადებულ ექსტრემალურ სპელეო ტურისტულ მარშრუტზე'', **დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია.**

2. 1.4 ქვესტანდარტთან მიმართებით გაცემული იყო შემდეგი სახის რეკომენდაცია: ,,დაწესებულების წარმომადგენელთან და განმახორციელებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მსმენელებმა სწავლების დროს თავად უნდა უზრუნველყონ ტრანსპორტირება და კვება, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაშვების წინაპირობებში და პროგრამის აღწერაში დაემატოს შემდეგი სახის პირობა: ,,მსმენელი ვალდებულია უზრუნველყოფს საკუთარი ტრანსპორტირების, ცხოვრების და კვების ხარჯები'', **დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და წინაპირობა დაკორექტირდა.**

3.წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამის დოკუმენტში, ,,დაშვების წინაპირობების'' ველში **გათვალისწინებულია შემდეგი სახის პირობა: ,,მსმენელი ვალდებულია უზრუნველყოფს საკუთარი ცხოვრების, კვების და ტრანსპორტირების ხარჯები''**.

4., 1.5. ქვესტანდარტთან მიმართებით გაცემული იყო შემდეგი სახის რეკომენდაცია: ,,დაწესებულებას პროფესიული მომზადების პროგრამისთვის ,,ექსტრემალური სპელეოტურის გამყოლი''განსაზღვრული აქვს მე-4 დონე. საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად ელექტრონული განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენისათვის, ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვადის შემდეგ, ცენტრი 5 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული დონის შესაბამისობას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონესთან. ცენტრმა განსაზღვრულ ვადაში შეამოწმა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული დონის შესაბამისობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონესთან და პროგრამის ჩარჩოს დონედ გამისაზღვრა მე-5 დონე, რადგან პროფესიული მომზადების პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების, მიზნის, თემატიკისა და აღწერილობის გათვალისწინებით სწავლის შედეგებში წარმოდგენილი კომპეტენციები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონეს. **დაწესებულებამ გაითვალისწინა გაცემული რეკომენდაცია.**

5. 1.7 ქვესტანდარტთან მიმართებაში დაფიქსირებული იყო შემდეგი სახის ხარვეზი: ,,დაწესებულებას პროგრამის მე-3 სასწავლო კვირაში განსაზღვრული აქვს 40 საათი და სამი სწავლის შედეგი. ერთ-ერთი სწავლის შედეგია ,,8. სამაშველო ოპერაციის ჩატარება მღვიმეში'', რომლის შესწავლა მოცემულ დროში შეუძლებელია. მიზანშეწონილია ეს სწავლის შედეგი არ ისწავლებოდეს ან მოხდეს ფორმულირება და განისაზღვროს ავტონომიურობის და პასუხისმგებლობის როგორი ხარისხით შეძლებს ამის გაკეთებას კურსდამთავრებული, რადგან სამაშველო ოპერაციის ჩატარება დამოუკიდებლად არის საკმაოდ რთული და პროგრამით განსაზღვრულ საათებში ვერ შეძლებს ამის სრულყოფილად შესწავლას, კურსდამთავრებული შესაძლებელია მხოლოდ სამაშველო ოპერაციის ჩატარების უზრუნველყოფა/ორგანიზების უნარს ფლობდეს'', **დაწესებულებამ ხარვეზი გამოასწორა, წარმოდგენილ პროფესიულ მომზადების პროგრამაში გაზრდილია პროგრამის ხანგრძლივობა, რომელიც შეადგენს 6 კვირას.**

6.1.9 ქვესტანდარტთან მიმართებაში გაცემული იყო შემდეგი სახის რეკომენდაცია: ,,დაწესებულებას პროგრამის განხორციელების ადგილად განსაზღვრული აქვს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული პრომეთეს, მელოურის და ბღერის მღვიმეები. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას მე-3 სასწავლო კვირის თემატიკებში განსაზღვრული აქვს შემდეგი თემატიკა: ,,ვერტიკალურ მღვიმეში გადაადგილებისთვის, შესაფერისი უსაფრთხო სათოკე სისტემის ,,ორმაგი დაზღვევის'' მოწყობა'', რეკომენდირებულია,სწავლების განხორციელება დამატებით მოხდეს ხავერდოვანას და ფოთოლცვენას მღვიმეებში, რადგან აღნიშნული მღვიმეები არის ვერტიკალური, განსხვავებული და საინტერესოა თავისებურებებით. აღნიშნულ მღვიმეებში სწავლება მსმენელს მისცემს დამატებით ცოდნას, უნარებს და კომპეტენციას მღვიმეებში

გამყოლად მუშაობის'', **დაწესებულებამ გაითვალისწინა გაცემული რეკომენდაცია და განხორციელების ადგილებად დაემატა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში არსებული ხავერდოვანას და ფოთოლცვენის მღვიმეები.**

7. 1.10. ქვესტანდარტთან მიმართებაში, რომელიც ეხებოდა მსმენელის შეფასების სისტემას, კერძოდ, წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამის დოკუმენტში არ არის განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასება. მიზანშეწონილია, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება აისახოს პროფესიული მომზადების პროგრამის დოკუმენტში. **რეკომენდაცია გათვალისწინებულია.**

სალომე ქუთათელაძემ ჩამოაყალიბა აღნიშნული პროგრამის პარამეტრები, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეხუთე; პროგრამის ხანგრძლივობა - 6 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა - 8; პროგრამის განხორციელების ადგილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტი პრომეთეს, მელოურის და ბღერის მღვიმე, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ხავერდოვანას და ფოთოლცვენის მღვიმე.

საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა განაცხადა, რომ ცენტრის წარმომადგენელმა დეტალურად განიხილა პრეზენტაციაში ყველა ის ქვესტანდარტები, რომელიც დასკვნაში იყო დახარვეზებული, როგორც აღინიშნა, კოლეჯს გამოსწორებული აქვს ხარვეზები, გათვალისწინებული აქვს რეკომენდაციები.

შემდეგ მან მიმართა დარგის ექსპერტს დაეფიქსირებინა მოსაზრება. დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ გამოსწორებულია ის ხარვეზები და გათვალისწინებულია რეკომენდაციები, რაც დაფიქსირებული იყო დასკვნაში, შესაბამისად მას შენიშვნები არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „ექსტრემალური სპელეოტურის გამყოლი" /01650/ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული პრომეთეს, მელოურის და ბღერის, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ხავერდოვანას და ფოთოლცვენის მღვიმეში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას (ს/კ: 42932985) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ექსტრემალური სპელეოტურის გამყოლი /01650/ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული პრომეთეს, მელოურის და ბღერის, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ხავერდოვანას და ფოთოლცვენის მღვიმეში **(დანართი 1)**.

2. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის „ძალოსნობისა და კროსფიტის ინსტრუქტორი“ /01749/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა სალომე ქუთათელაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 25 სექტემბრის №1228867 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა, სოფიო მუკათარიძემ განახორციელეს ვიზიტი, სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში პროგრამის განხორციელების ადგილზე, თბილისი, ე. ნინოშვილის №55. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, პროფესიული მომზადების პროგრამის „ძალოსნობისა და კროსფიტის ინსტრუქტორი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ვიზიტისას გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. მოხდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით სალომე ქუთათელაძემ განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამაა ,,ძალოსნობისა და კროსფიტის ინსტრუქტორი'', ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე; პროგრამის ხანგრძლივობა - 14 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა - 16; პროგრამის განხორციელების ადგილი - თბილისი, ე. ნინოშვილის ქ. 55.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, გაიცა რეკომენდაციები 1.2, 1.4, 1,6 1.9, 1.10, 2.2, 2.3 და 3.7 ქვესტანდარტებთან დაკავშირებით.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ კოლეჯმა პროგრამის განაცხადთან ერთად წარმოადგინა დოკუმენტი ,,სპორტული ინსტრუქტორის პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების საჭიროების დასაბუთება'', სადაც წარმოდგენილია სხვადასხვა უწყებების კვლევები. ძალოსნობის სპორტი ერთ-ერთი პოპულარული სახეობაა, რომელიც კიდევ უფრო პოპულარული გახდა მას შემდეგ, რაც ძალოსნობის სახეობაში ლაშა ტალახაძე გამოჩნდა. ძალოსნობის პოპულარობის მიუხედავად, სპორტის ამ სახეობაში კვალიფიციური ინსტრუქტორებისა და მწვრთნელების ნაკლებობის პრობლემა დგას. განსაკუთრებით უჭირს რეგიონებს. ძალოსნობის ინსტრუქტორის (მწვრთნელის თანაშემწისა და დაწყებითი შემსწავლელი ჯგუფების ინსტრუქტორის) კადრების ნაკლებობაზე საუბრობენ თავად ფედერაციის წარმომადგენლები. დოკუმენტში აღნიშნული სხვადასხვა უწყებების მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე წარმოდგენილი გარემოებები ერთმნიშვნელოვნად ასაბუთებს თანამედროვე შრომის ბაზრისთვის ზემოაღნიშნული პროგრამით პროფესიონალი კადრების მომზადების საჭიროებას.

გაიცა რეკომენდაცია - ქვესტანდრტი 1.2 - პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს. ძალოსნობა 2-მოძრაობისგან შემდგარი სპორტის სახეობაა, ხოლო კროსფიტი 10 - ზე მეტი მოძრაობისგან შემდგარი, მიუხედავად იმისა, რომ ძალოსნობა და კროსფიტი სხვადასხვა სპორტის სახეობაა, მათი მოძრაობები გავს ერთმანეთს. წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამა ითვალისწინებს ძირითადად ძალოსნობის მოძრაობების შესწავლას,

ხოლო, ზოგადად შეისწავლის კროსფიტის წესებს. აქედან, გამომდინარე მიზანშეწონილია პროფესიული მომზადების პროგრამას შეეცვალოს სახელწოდება და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით **,,ძალოსნობის ინსტრუქტორი''.**

პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

გაიცა რეკომენდაცია - ქვესტანდარტი 1.4. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში.

პროფესიული მომზადების პროგრამის განაცხადში, პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია: განათლება - საშუალო; აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: 1. გასაუბრება; 2. გამოცდა.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ,,სპორტული ტურის დებულებაში'' გაწერილია, რომ აპლიკანტთა ჩარიცხვა პროგრამაზე ხდება სამოტივაციო გასაუბრებით და გამოცდით, რომელიც გულისხმობს სპორტულ ტურს.

დებულებაში დაწერილია გამოცდაზე ჩასაბარებელი (ვაჟებისთვის და გოგონებისთვის) სპორტული ნორმატივების და აპლიკანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ: რეგისტრაციისათვის აპლიკანტმა კოლეჯში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა 100;), პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; სპორტულ ტურის საფასურის გადახდის დამადასტურებელი 50 (ორმოცდაათი) ლარიანი ქვითარი; ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, პროფესიული მომზადების პროგრამის დოკუმენტის დაშვების წინაპირობებში დაკონკრეტდეს პირობები, კერძოდ, რა ტიპის გასაუბრება და გამოცდა ტარდება, (გასაუბრება-სამოტივაციო და გამოცდა - სპორტული ტური), ჩასაბარებელი სპორტული ნორმატივების შესახებ ინფორმაცია, აპლიკანტის მიერ ჯანმრთელობის ცნობის (ფორმა 100) წარმოდგენის და სპორტული ტურის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ორმოცდაათ ლარიანი ქვითრის წარმოდგენის შესახებ, რომელიც განსაზღვრულია კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დებულებით.

გაიცა რეკომენდაცია - 1.6 ქვესტანდარტი პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

პროფესიული მომზადების პროგრამა წარმოდგენილია 6 სწავლის შედეგით**:**

1. სამუშაოს ორგანიზება და ეფექტური კომუნიკაცია;
2. საწვრთნო პროცესის დაგეგმვა;
3. საწვრთნო პროცესის წარმართვა;
4. **მსაჯობა სასწავლო-საწვრთნო და საშეჯიბრო პროცესის ფარგლებში**;
5. სწორი კვებისა და ჰიდრატაციის მნიშვნელობის განსაზღვრა ძალოსნობასა და კროსფიტში ჩართული პირების საჭიროებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით;
6. უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა.

მე-4 სწავლის შედეგი არ არის ჩამოყალიბებული შესაბამისი აქტიური ზმნით და შესაბამისად არ დგინდება რა დონეზე ცოდნა იგულისხმობა მსაჯობის. როგორც პროგრამის განმახორციელებელთან გასაუბრებით გაირკვა მსმენელი შეისწავლის მსაჯობის ზოგად წესებს და არა მსაჯობას. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია ფორმულირდეს მე-4 სწავლის შედეგი და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: ,,მსაჯობის ზოგადი წესების ცოდნა სასწავლო-საწვრთნო და საშეჯიბრო პროცესის ფარგლებში''.

პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა 14 კვირაა, რომელიც მოიცავს 220 საკონტაქტო საათს. პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საკითხებს. პრაქტიკული სამუშაოები განხორციელდება კოლეჯის პარტნიორთან, ა(ა)იპ საქართველოს

ძალოსნობის ეროვნულ ფედერაციაში არსებულ სპორტულ დარბაზში, რაც ხელს შეუწყობს მსმენელის საჭირო უნარებისა და კომპეტენციების გაუმჯობესებას კვალიფიციური ინსტრუქტორის მომზადებისთვის.

გაიცა რეკომენდაცია - ქვესტანდარტი 1.9 პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას

პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს 16 მსმენელი. პროგრამა ითვალისწინებს, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ კომპონენტს. რაც დასტურდება წარმოდგენილი მემორანდუმით. პარტნიორი ორგანიზაცია მემორანდუმით განსაზღვრული პირობების თანახმად უფლებას აძლევს კოლეჯს ისარგებლოს სპორტული დარბაზითა და შესაბამისი ინფრასტრუქტურით. ფედერაცია მზადყოფნას გამოთქვამს თითოეულ ჯერზე მიიღოს პროფესიული მომზადების პროგრამის 8 მსმენელი. ვიზიტის დროს მოხდა სპორტული დარბაზის დათვალიერება. ადგილზე არსებული მატერიალური რესურსი, ადამიანური რესურსი და შექმნილი გარემო პირობები ნამდვილად ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას.
რეკომენდაცია: პროფესიული მომზადების პროგრამის დოკუმენტის ,,პარტნიორის ველში'' არ არის მითითებული, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაცია, თუმცა კოლეჯს დადებული აქვს მემორანდუმი საქართველოს ძალოსნობის ეროვნულ ფედერაციასთან და ეს მემორანდუმი წარმოდგენილია კოლეჯის მიერ ელ. სისტემით პროგრამის განაცხადთან ერთად. ამდენად, მიზანშეწონილია პროფესიული მომზადების პროგრამის დოკუმენტის ველში ,,პარტნიორები'' განისაზღვროს პარტნიორი ორგანიზაცია.

გაიცა რეკომენდაცია - ქვესტანდარტი 1.10 მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას

რაც შეეხება მსმენელის შეფასების სისტემას, კოლეჯს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს - ,,სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების ადმინისტრირების მარეგულირებელი წესი'', რომლის მე-8 და მე-9 მუხლი ეხება მსმენელის შეფასების სისტემას და მსმენელის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრებას. მსმენლის შეფასება მოხდება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებით. წარმოდგენილ პროფესიულ მომზადების პროგრამის დოკუმენტში არ არის განსაზღვრული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, თუმცაკოლეჯის წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით დგინდება, რომ პროგრამის სწავლის შედეგების განმსაზღვრელი შეფასება მოხდება სწავლის დასრულების ბოლოს მე-14 კვირაში, ხოლო განმავითარებელი შეფასება პროგრამის განხორციელების მიმდინარეობისას.
რეკომენდირებულია, რომ პროგრამის განაცხადში აისახოს მე-14 კვირაში ყველა სწავლის შედეგის განმსაზღვრელი შეფასება და პროგრამის მიმდინარეობისას განმავითარებელი შეფასებები.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 8 განმახორციელებელი პირი, რომელთა ცოდნა, უნარები და კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაციით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

გაიცა რეკომენდაცია - ქვესტანდარტი 2.2 პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კოლეჯს თეორიული კომპონენტის სწავლებისთვის აქვს სათანადო აღჭურვილობის მქონე A - სასწავლო გარემო, რომელიც აღჭურვილია თეორიული მეცადინეობის წარმართვისთვის საჭირო ინვენტარითა და მატერიალური რესურსით.
პრაქტიკული მეცადინეობები ჩატარდება პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე არსებულ სპორტულ დარბაზში, რომელიც აღჭურვილია მძლეოსნობისთვის აუცილებელი ინვენტარით.
პროგრამის დოკუმენტის ,,ლოკაცია და აღჭურვილობა'' ველში, მითითებულია კოლეჯის მისამართი და არსებული აღჭურვილობა, ასევე მითითებულია პარტნიორი ორგანიზაციის მისამართი, მხოლოდ არ არის ინფორმაცია პარტნიორ ორგანიზაციის მფლობელობაში არსებულ მატერიალურ რესურსზე. მიზანშეწონილია, ჩაიწეროს აღნიშნულ ველში პრაქტიკული კომპონენტის სწავლებისათვის საჭირო აღჭურვილობა, რომელიც განთავსებულია პარტნიორი ორგანიზაციის სპორტულ დარბაზში.

გაიცა რეკომენდაცია - ქვესტანდარტი 2.3 სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე

სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე
კოლეჯს მომზადების პროგრამის სწავლებისთვის განსაზღვრული აქვს 3 სასწავლო ლიტერატურა. კოლეჯში გამოყოფილია სივრცე ბიბლიოთეკისთვის, სადაც სურვილის შემთხვევაში მსმენელები შეძლებენ სასწავლო ლიტერატურით სარგებლობას, ასევე, ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია ყველა სასწავლო ლიტერატურა ელექტრონული სახით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მიეწოდება მსმენელს როგორც ამობეჭდილი სახით, ისე ელექტრონული ფოსტის მეშვეობითაც.
როგორც განმახორციელებლებთან გასაუბრებით გაირკვა, სწავლების პროცესში მსმენელები გამოიყენებენ სხვადასხვა სასწავლო ლიტერატურას, რომელიც პროფესიული მომზადების პროგრამის დოკუმენტში არ არის განსაზღვრული, თუმცა, ბიბლიოთეკის დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ კოლეჯს პროგრამის სწავლებისთვის გააჩნია ყველა საჭირო სასწავლო ლიტერატურა.
მიზანშეწონილია, რომ პროფესიული მომზადების პროგრამის დოკუმენტის ველში ,,სასწავლო რესურსები'' განისაზღვროს მომზადების პროგრამის სწავლებისთვის ყველა საჭირო სასწავლო ლიტერატურა, რომელსაც იყენებს პროგრამის განმახორციელებელი პროგრამის სწავლებისას.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო უსაფრთხოების, ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტით №160.
აღსანიშნავია, რომ კოლეჯს აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი - ,,უსაფრთხოების უზრუნველყოფის, წესრიგის დაცვისა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესები'', რომელიც განსაზღვრავს კოლეჯში დასაქმებული პირების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელებისა და კოლეჯის ტერიტორიაზე მყოფი ვიზიტორების უსაფრთხოების უზრუნველყოფის, წესრიგის დაცვისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმებსა და პროცედურებს.

იურიდიული პირი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, კოლეჯი ფუნქციონირებს 2014 წლიდან, იგი სამართალმემკვიდრეა ფიზკულტურის ტექნიკუმის, რომელიც 1933 წელს დაარსდა. მრავალი წლის მანძილზე კოლეჯი ამზადებს კადრებს სპორტის

სხვადასხვა სახეობისთვის. არსებობის 85 წლიანი ისტორიის მანძილზე სპორტის კოლეჯის კურსდამთავრებული გახდა არაერთი სახელოვანი სპორტსმენი თუ მწვრთნელი, რომელთა შორის არიან მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონები და პრიზიორები.
აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კოლეჯის კურსდამთავრებულების ნახევარზე მეტი დასაქმებულია სპორტის სახეობების მიმართულებით.

კოლეჯმა წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული - ,,სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების ადმინისტრირების მარეგულირებელი წესი'', რომლის მე-3 მუხლი ეხება აპლიკანტთა შერჩევას და მსმენელის სტატუსის მოპოვებას. კოლეჯი პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციას აცხადებს ღია ან დახურული წესით.
დახურული წესით აპლიკანტთა რეგისტრაცია ცხადდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კოლეჯს აქვს ხელშეკრულება სხვა იურიდიულ პირთან ან ადმინისტრაციულ ორგანოსთან, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფს პირთა გარკვეული წრის პროფესიულ მომზადება/ გადამზადებას.
პროფესიული მომზადების/ გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება გასაუბრებით. შესაბამისად დასტურდება, რომ კოლეჯი აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს.

იურიდიული პირი უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას კოლეჯი გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას ახდენს კოლეჯის ვებგვერდის და სოციალური ქსელის, ოფიციალურ Facebook გვერდის მეშვეობით. კოლეჯი, ასევე ინფორმაციის გავრცელების მიზნით იყენებს მოკლე ტექსტურ sms შეტყობინებებს და სატელეფონო საუბრებს, ასევე ინფორმაცია ვრცელდება კმაყოფილი კურსდამთავრებულისგან სოც. ქსელის მეშვეობით.

საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის კოლეჯი იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს. კოლეჯში საგანმანთლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველსაყოფად მოქმედებს ,,დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე'' ციკლი. ვიზიტის დროს გადამოწმდა მოქმედი პრაქტიკა, შევსებული გამოკითხვის ფორმები და დასტურდება, რომ კოლეჯი საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის გამოიყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს.
კოლეჯის რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში tvet.emis.ge ასახავს ინფორმაციას პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების, მათი განმახორციელებელი პირების და მსმენელების/კურსდამთავრებულთა შესახებ. ვიზიტის დროს გადამოწმდა და დადასტურდა ელექტრონულ სისტემაში კოლეჯის მიერ მონაცემთა კანონმდებლობით დადგენილი წესითასახვის სისწორე.

დაწესებულება თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას. დაწესებულებაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა Eflow- თი.

გაიცა რეკომენდაცია - ქვესტანდარტი 3.7 გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს

კოლეჯი გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს/სერტიფიკატს, რომლის ფორმა და ენობრივი სისწორე შეთანხმებულია სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან. გადამოწმდა ელ. სისტემა, სადაც ატვირთულია სერტიფიკატები, ასევე, გადამოწმდა სერტიფიკატების აღრიცხვის ჟურნალი. კოლეჯი სერტიფიკატთან ერთად გასცემს სერტიფიკატის დანართს, ხოლო ელ. სისტემაში არა აქვს ატვირთული დანართი, ატვირთულია მხოლოდ სერტიფიკატი. რეკომენდირებულია ელ. სისტემაში სერტიფიკატთან ერთად აიტვირთოს დანართიც.

სალომე ქუთათელაძემ პრეზენტაციის ბოლოს წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ხარვეზები არ იყო დაფიქსირებული დასკვნაში, რეკომენდაციები საკმაოდ ბევრი იყო გაცემული, ამასთან დაკავშირებით, მან მიმართა დაწესებულებას დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია, ასევე, დაინტერესდა იზიარებდა თუ არა ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, მითუმეტეს რომ დაწესებულებას აქვს დიდი გამოცდილება მომზადება/გადამზადების პროგრამის განხორციელებისა, ასეთი ხასიათის უზუსტობები არ უნდა ყოფილიყო აღნიშნულ პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ძაგანიამ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ დაწესებულებას ნამდვილად აქვს გამოცდილება მოკლევადიანი პროგრამების განხორციელების, და დასძინა, რომ სრულად იზიარებდა დასკვნაში დაფიქსირებულ რეკომენდაციებს, მან ასევე ისაუბრა პროგრამის სახელწოდებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ამ საკითხშიც იზიარებდნენ რეკომენდაციას და შესაბამისად ცვლილებას შეიტანდნენ სახელწოდებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სალომე ქუთათელაძეს, რომ მეორე საკითხიც წარედგინა, რის შემდეგაც საბჭო იმსჯელებდა და მიიღებდა გადაწყვეტილებას ორივე საკითხთან მიმართებაში.

3. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის „მძლეოსნობის ინსტრუქტორი“ /01747/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა სალომე ქუთათელაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 25 სექტემბრის №1228869

ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა, ბადრი ასათიანმა განახორციელეს ვიზიტი, სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში პროგრამის განხორციელების ადგილზე, თბილისი, ე. ნინოშვილის №55. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, პროფესიული მომზადების პროგრამის „მძლეოსნობის ინსტრუქტორი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ვიზიტისას გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური

და სასწავლო რესურსი. მოხდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით სალომე ქუთათელაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მეოთხე; პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა;
სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა - 16; პროგრამის განხორციელების ადგილი - თბილისი, ე. ნინოშვილის ქ. 55.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, გაიცა რეკომენდაციები 1.4, 1.6, 1.10, 2.3, 3.7 ქვესტანდარტებთან მიმართებაში.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით სალომე ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ კოლეჯმა პროგრამის განაცხადთან ერთად წარმოადგინა დოკუმენტი ,,სპორტული ინსტრუქტორის პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების საჭიროების დასაბუთება'', სადაც წარმოდგენილია სხვადასხვა უწყებების კვლევები. დოკუმენტში აღნიშნული სხვადასხვა უწყებების მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე წარმოდგენილი გარემოებები ერთმნიშვნელოვნად ასაბუთებს თანამედროვე შრომის ბაზრისთვის ზემოაღნიშნული პროგრამით პროფესიონალი კადრების მომზადების საჭიროებას.

აღნიშნული პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან, პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრი, რომელსაც ექნება სპორტული ინსტრუქტორისთვის შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები, მათ შორის მძლეოსნობის ძირითადი პრინციპების, წესების, უსაფრთხოების პროცედურებისა და ტექნიკური მახასიათებლების შესახებ.

გაიცა რეკომენდაცია - ქვესტანდარტი 1.4 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში
პროფესიული მომზადების პროგრამის განაცხადში, პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია: განათლება - საშუალო; აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: 1. გასაუბრება; 2. გამოცდა.
კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ,,სპორტული ტურის დებულებაში'' გაწერილია, რომ აპლიკანტთა ჩარიცხვა პროგრამაზე ხდება სამოტივაციო გასაუბრებით და გამოცდით, რომელიც გულისხმობს სპორტულ ტურს.
დებულებაში დაწერილია გამოცდაზე ჩასაბარებელი (ვაჟებისთვის და გოგონებისთვის) სპორტული ნორმატივების და აპლიკანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ: რეგისტრაციისათვის აპლიკანტმა კოლეჯში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა 100;), პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; სპორტულ ტურის საფასურის გადახდის დამადასტურებელი 50 (ორმოცდაათი) ლარიანი ქვითარი; ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, პროფესიული მომზადების პროგრამის დოკუმენტის დაშვების წინაპირობებში დაკონკრეტდეს პირობები, კერძოდ, რა ტიპის გასაუბრება და გამოცდა ტარდება, (გასაუბრება-სამოტივაციო და გამოცდა - სპორტული ტური), ჩასაბარებელი სპორტული ნორმატივების შესახებ ინფორმაცია, აპლიკანტის მიერ ჯანმრთელობის ცნობის (ფორმა 100) წარმოდგენის და სპორტული ტურის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ორმოცდაათ ლარიანი ქვითრის წარმოდგენის შესახებ, რომელიც განსაზღვრულია კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დებულებით.

გაიცა რეკომენდაცია - ქვესტანდარტი 1.6 პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

პროფესიული მომზადების პროგრამა ითვალისწინებს 6 სწავლის შედეგის მიღწევას:

1. სამუშაოს ორგანიზება და ეფექტური კომუნიკაცია;
2. საწვრთნო პროცესის დაგეგმვა;
3. საწვრთნო პროცესის წარმართვა;
4. **მსაჯობა სასწავლო-საწვრთნო და საშეჯიბრო პროცესის ფარგლებში;**
5. **სწორი კვებისა და ჰიდრატაციის მნიშვნელობის განსაზღვრა ფეხბურთში ჩართული პირების საჭიროებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით;**
6. უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა.

რეკომენდაციები: მე-4 სწავლის შედეგი არ არის ჩამოყალიბებული შესაბამისი აქტიური ზმნით და შესაბამისად არ დგინდება რა დონეზე ცოდნა იგულისხმობა მსაჯობის. როგორც პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით გაირკვა მსმენელი შეისწავლის მსაჯობის ზოგად წესებს და არა მსაჯობას, აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია ფორმულირდეს მე-4 სწავლის შედეგი და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: ,,მსაჯობის ზოგადი წესების ცოდნა სასწავლო-საწვრთნო და საშეჯიბრო პროცესის ფარგლებში''. ასევე, გასწორდეს მე-5 სწავლის შედეგში დაშვებული ტექნიკური ხარვეზი და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: ,,სწორი კვებისა და ჰიდრატაციის მნიშვნელობის განსაზღვრა მძლეოსნობაში ჩართული პირების საჭიროებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით''.

მე-5 სასწავლო კვირის თემატიკას დაემატოს ,,მოძრაობის რიტმის'' სწავლა, ხოლო მე-7 სასწავლო კვირის თემატიკას დაემატოს ,,საშუალო და გრძელ მანძილებზე რბენები'' და ,,სპორტული სიარული''.

პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა 12 კვირაა, რომელიც მოიცავს 235 საკონტაქტო საათს. პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საკითხებს. პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება კოლეჯის პარტნიორის ,,საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის'' ბაზაზე არსებულ სტადიონზე, რაც ხელს შეუწყობს მსმენელის საჭირო უნარებისა და კომპეტენციების გაუმჯობესებას კვალიფიციური ინსტრუქტორის მომზადებისთვის.

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს 16 მსმენელი. პროგრამა ითვალისწინებს, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ კომპონენტს. დაწესებულებას ყავს პარტნიორი ორგანიზაცია ,,სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი'', რომელთანაც დადებული აქვს მემორანდუმი. პარტნიორი ორგანიზაცია მემორანდუმით განსაზღვრული პირობების თანახმად უფლებას აძლევს კოლეჯს უსასყიდლოდ ისარგებლოს უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებულ სტადიონის მძლეოსნობის სექტორებით და სარბენი ბილიკებით. უნივერსიტეტი მზადყოფნას გამოთქვამს თითოეულ ჯერზე მიიღოს პროფესიული მომზადების პროგრამის 8 მსმენელი. კოლეჯს აგრეთვე, ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულება აქვს დადებული ,,ა(ა)იპ საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციასთან'', აღნიშნული ხელშეკრულების პირობების თანახმად მძლეოსნობის ფედერაცია ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმებას.

ვიზიტის დროს მოხდა სტადიონის დათვალიერება. ადგილზე არსებული მატერიალური რესურსი, ადამიანური რესურსი და შექმნილი გარემო პირობები ნამდვილად ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას.

გაიცა რეკომენდაცია - ქვესტანდარტი 1.10 მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას

პროფესიული მომზადების პროგრამის დოკუმენტში განმავითარებელი შეფასება განსაზღვრულია მე-3 სასწავლო კვირაში, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება არ არის გათვალისწინებული. კოლეჯის წარმომადგენლებთან ინტერვიურებით დგინდება, რომ პროგრამის სწავლის შედეგების განმსაზღვრელი შეფასება მოხდება სწავლის დასრულების ბოლოს მე-12 კვირაში. მიზანშეწონილია, პროფესიული მომზადების პროგრამის დოკუმენტში, მე-12 სასწავლო კვირაში, განისაზღვროს 5 სწავლის შედეგის განმსაზღვრელი შეფასება.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 8 განმახორციელებელი პირი, რომელთა ცოდნა, უნარები და კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაციით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.
ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა მათი კვალიფიციურობა დარგის მიმართულებით.

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
კოლეჯს თეორიული კომპონენტის სწავლებისთვის აქვს სათანადო აღჭურვილობის მქონე A -სასწავლო გარემო, რომელიც აღჭურვილია თეორიული მეცადინეობის წარმართვისთვის საჭირო ინვენტარითა და მატერიალური რესურსით. პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე არსებულ სტადიონზე, რომელიც აღჭურვილია მძლეოსნობისთვის აუცილებელი ინვენტარით.
სალომე ქუთათელაძემ პრეზენტაციის ბოლოს წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

გაიცა რეკომენდაცია - ქვესტანდარტი 2.3 სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე
როგორც განმახორციელებლებთან გასაუბრებით გაირკვა, სწავლების შედეგების სწავლების დროს ისინი იყენებენ სხვადასხვა სასწავლო ლიტერატურას, რომელიც პროფესიული მომზადების პროგრამის დოკუმენტში არ არის განსაზღვრული, თუმცა, ბიბლიოთეკის დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ კოლეჯს პროგრამის სწავლებისთვის გააჩნია ყველა საჭირო სასწავლო ლიტერატურა. მიზანშეწონილია, რომ მომზადების პროგრამის დოკუმენტის ველში ,,სასწავლო რესურსები'' განისაზღვროს მომზადების პროგრამის სწავლებისთვის ყველა საჭირო სასწავლო ლიტერატურა, რომელსაც იყენებს პროგრამის განმახორციელებელი პროგრამის სწავლებისას.

გაიცა რეკომენდაცია - ქვესტანდარტი 3.7 გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს
კოლეჯი სერტიფიკატთან ერთად გასცემს სერტიფიკატის დანართს, ხოლო ელ.სისტემაში არ აქვს ატვირთული დანართი, ატვირთულია მხოლოდ სერტიფიკატი. რეკომენდირებულია ელ.სისტემაში სერტიფიკატთან ერთად აიტვირთოს დანართიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ იქიდან გამომდინარე, რომ პირველ საკითხთან დაკავშირებით ისეთი რეკომენდაციები იყო გაცემული, რომელიც მოითხოვდა გარკვეული ცვლილებების შეტანას პროგრამაში და საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ იქნებოდა სწორი საბჭოს ამ საკითხთან დაკავშირებით კოლეჯისთვის მიეცათ ხარვეზის გამოსასწორებლად ერთთვიანი ვადა, რასაც საბჭოს წევრები დაეთანხმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის „ძალოსნობისა და კროსფიტის ინსტრუქტორი“ /01749/ - პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს (ს/კ: 202949159) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - „ძალოსნობისა და კროსფიტის ინსტრუქტორი“ /01749/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის „მძლეოსნობის ინსტრუქტორი“ /01747/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს (ს/კ: 202949159) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - მძლეოსნობის ინსტრუქტორი /01747/ **(დანართი 2)**.

4. სსიპ კოლეჯ „მოდუსის“ „ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი“ /01723/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ნიკოლოზ მედულაშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 22 აგვისტოს №1019172 ბრძანების საფუძველზე, დარგის ექსპერტმა ნიკოლოზ მედულაშვილმა და ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ 2023 წლის 15 სექტემბერს განახორციელეს ვიზიტი სსიპ კოლეჯ ,,მოდუსში“ (ქ. რუსთავი, შარტავას ქ. № 4), სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, ასევე, გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსი, AC გარემო, განხორციელდა პარტნიორი კომპანიის წარმომადგენლებთან გასაუბრება პრაქტიკული კომპონენტის სწავლების განხორციელებასთან დაკავშირებით.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მაია აბდალაძემ აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - გადამზადება; ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე; პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15; პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. რუსთავი, შარტავას გამზ. №4.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა აღნიშნული პროგრამის სტანდარტები და აღნიშნა, რომ პროფესიული გადამზადების პროგრამა „ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი“ შემუშავებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და ითვალისწინებს ზოგადად ქვეყნის საჭიროებებს. აღსანიშნავია, რომ ქალაქ რუსთავში, მუნიციპალიტეტის, მერიის ინიცირებით დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობს ძველი ლიფტების ახლით ჩანაცვლების მასშტაბური პროცესი. ქალაქში არსებული 1200 ძველი ლიფტიდან 100-მდე ლიფტი უკვე ჩანაცვლებულია ახლით. მუნიციპალიტეტმა ლიფტების მონტაჟთან ერთად, აიღო პასუხისმგებლობა მის მოვლა-პატრონობაზე, იქამდე, ვიდრე სრულად არ მოხდება ქალაქში ძველი ლიფტების ახლით ჩანაცვლება. როგორც ქალაქის მერიის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, გამოიკვეთა კვალიფიციური კადრების პრობლემაც. შესაბამისად, მერიამ მიიღო გადაწყვეტილება პროფესიულ კოლეჯთან, კერძოდ სსიპ კოლეჯ „მოდუსთან“ თანამშრომლობით გადაამზადოს საჭირო ადამიანური რესურსი ლიფტების მომსახურებისთვის და მათი უშუალო ჩართულობით შემუშავდა პროფესიული გადამზადების პროგრამა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: ლიფტების ტექნიკოსად/ელექტრიკოსად მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი სამუშაო გამოცდილება; კვალიფიკაცია პროგრამის შესაბამის დარგში - ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა. აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.

წარმოდგენილი პროფესიული გადამზადების პროგრამა ითვალისწინებს სწავლის 6 შედეგის მიღწევას, სწავლის შედეგები გაწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, უნარით ან/და კომპეტენციით.

პროფესიული გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 12 კვირას, პროგრამის სრული მოცულობა შეადგენს 192 საათს. პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება პარტნიორ ორგანიზაციაში - ა(ა)იპ "რუსთავის კორპუსში“, რომელიც უზრუნველყოფს მსმენელებისათვის პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის სწავლებას და შეფასებას.

დაწესებულებას ასევე გაფორმებული აქვს მემორანდუმი შპს ლიფტების მართვის და მონიტორინგის ცენტრთან ქ. თბილისში, როგორც რეზერვი პარტნიორი კონკრეტულ მიზნობრივ ჯგუფთან, საჭიროების შემთხვევაში.

დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განმახორციელებლად წარმოდგენილი ჰყავს 2 პირი. კოლეჯმა წარმოადგინა განმახორციელებელთა პირადი საქმეები, რომლის მიხედვით განმახორციელებლებს უდასტურდებათ შესაბამისი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება. ვიზიტის დროს მოხდა პროგრამის განმახორციელებელთან გასაუბრება, აღნიშნულ პირები ჩართული იყვნენ პროგრამის შემუშავებაშიც და მათ გამოცდილებასთან ერთად აქვთ მზაობა და სურვილი პროგრამის განხორციელების.

აღნიშნული პროგრამისთვის კოლეჯში გამოყოფილია ერთი სასწავლო გარემო (AC), სადაც მატერიალური რესურსი გათვლილია ჯგუფში 15 მსმენელზე.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს 11 სასწავლო რესურსი, მათ აქვთ მთლიანად გაციფრულებული ლიტერატურა. ამისთვის აქვთ ჩართული რამდენიმე კომპიუტერი, სადაც მსმენელებს შეუძლიათ მოიძიონ დასახელებული ლიტერატურა. აქვთ პრინტერიც და შეუძლიათ ამობეჭდვა და მსმენელებისთვის მიწოდებაც.

კოლეჯმა წარმოადგინა სახანძრო ტექნიკური შემოწმების აქტი, რომლის მიხედვით დასტურდება, რომ სსიპ კოლეჯ ,,მოდუსის“ ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებს. ასევე, კოლეჯს შემუშავებული აქვს სახანძრო უსაფრთხოების წესი, კოლეჯში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა და სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებების შესრულება ევალება სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ დანიშნულ პირებს. შესაბამისად სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში.

რაც შეეხება მესამე სტანდარტს, მაია აბდალაძემ განაცხადა, რომ კოლეჯი ,,მოდუსი“ წარმოადგენს მრავალპროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, ის არის ქვემო ქართლის რეგიონში მოქმედი ერთადერთი სახელმწიფო პროფესიული კოლეჯი, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდების დასაქმებას საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად. ამჟამად კოლეჯი ახორციელებს 17 პროფესიულ მომზადება/ გადამზადების პროგრამას. მარნეულის ფილიალში -7-ს.

იურიდიული პირი აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან. კოლეჯს გაწერილი აქვს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების დამტკიცების, განხორციელებისა და მსმენელთა ჩარიცხვის წესი და პირობები, რომელიც შემუშავებულია საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №71/ნ და №59/ნ ბრძანებების მიხედვით.

დაწესებულება უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებასროგორც ვებგვერდის, ასევე სოციალური ქსელის Facebook-ის მეშვეობით, კერძოდ, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი მასალას აწვდის ზრდასრულთა განათლების კოორდინატორს, რომელიც ინფორმაციას განათავსებს თავიან ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში.

საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომლის მიზანია კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება. დოკუმენტში გაწერილი აქვთ პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების კვლევის მეთოდოლოგიაც და ასევე წარმოდგენილი აქვთ კითხვარებიც.

დაწესებულება კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი პასუხისმგებელია მოკლევადიან პროგრამებზე რეესტრის წარმოებაზე და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახავს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების

განხორციელების შესახებ ინფორმაციას.
დაწესებულება გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს, კოლეჯს გაწერილი აქვს სერტიფიკატის გაცემის პროცედურები პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელებისა და მსმენელთა შეფასების წესში. სერტიფიკატის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, რომლითაც ხდება მსმენელთა შეფასების შედეგების წარდგენა. სერტიფიკატთან ერთად გაიცემა სერტიფიკატის დანართი, რომლის შევსებასაც ახორციელებს ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი. სერთიფიკატის გაცემა ფიქსირდება კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ სპეციალურ მკაცრი აღრიცხვის ჟურნალში კურსდამთავრებულის მიერ სერტიფიკატის მიღების დადასტურების ხელმოწერით. სერტიფიკატების გაცემაზე პასუხისმგებელია კოლეჯის რეესტრზე პასუხისმგებელი პირი. კოლეჯმა 2023 წელს გასცა 96 სერთიფიკატი.
დარგის ექსპერტმა პრეზენტაციის ბოლოს წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამა ქვეყნისთვის ზოგადად საჭიროა, საინტერესო პროგრამაა და მიესალმება დაწესებულების მხრიდან ამ პროგრამის განხორციელების მზაობას.
საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმა ისაუბრა ამ პროგრამასთან დაკავშირებით და და დასძინა, რომ მიესალმება სახელმწიფო კოლეჯების მხრიდან ამ ინიციატივას, მან მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და დარგის ექსპერტს, თუ იყო დაწესებულებაში ლიფტის სიმულატორი, ლიფტების შეკეთების დროს რომ გამოეყენებინათ სწავლებისთვის.
დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოლეჯი აპირებს მუნიციპალური ლიფტის ასლის აწყობას, რომელიც საშუალებას მისცემს მსმენელებს ამ სიმულატორზე მოახდინონ სწავლება. მან დასძინა, რომ თვითონ კოლეჯშიც არის ლიფტი, თანამედროვე და შესაძლებელი იქნება იმ თანამედროვე ლიფტზე იმუშაონ მსმენელებმა. როგორც პრეზენტაციაში აღინიშნა, კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი კომპანიებთან, რომლებიც დაკავებული არიან ლიფტების შეკეთებით.
დაწესებულების დირექტორმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს, ექსპერტს და განაცხადა, რომ ძალიან ბევრი იშრომეს, გააფორმეს მემორანდუმი შეფასების და მონიტორინგის ცენტრთან ინიციატივა წამოვიდა მათგან, რომ გამოეყენებინათ მათი სიმულატორი, თუმცა რუსთავის კორპუსი არის ძირითადი პარტნიორი, რომელიც დაწესებულებას დაეხმარება. მან დასძინა, რომ დაწესებულებას დიდი იმედი აქვს, რომ აღნიშნული პროგრამა წარმატებით განხორციელდება და შემდეგაც აპირებს დაწესებულება პროფესიული მომზადების პროგრამის დამატებას და მნიშვნელოვანი იქნება მათი ჩართვა ამ პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „მოდუსის“ „ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი“ /01723/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ „მოდუსს“ (ს/კ: 216350829) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი /01723/ **(დანართი 3)**.

5. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის „ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი“ /01739/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ნიკოლოზ მედულაშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 22 აგვისტოს №1019173 ბრძანების საფუძველზე, დარგის ექსპერტმა ნიკოლოზ მედულაშვილმა და ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ 2023 წლის 14 სექტემბერს განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ სარკინიგზო
ტრანსპორტის კოლეჯში (ქ. თბილისში, თემქის მე-11 მიკრორაიონი, მე-3 კვარტალი, ნაკვეთი 01/10), სადაც
განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტის დროს ექსპერტისა და ცენტრის წარმომადგენლის მიერ განხორციელდა გასაუბრება ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, ასევე, გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსი, განხორციელდა პარტნიორ კომპანიასთან (შპს ლიფტების მართვის და მონიტორინგის ცენტრი) შეხვედრა, პრაქტიკული კომპონენტის სწავლების განხორციელების შემოწმების მიზნით.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამის სახეა - გადამზადება; ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე; პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა; სწავლების ენა - ქართული;

მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 30; პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, თემქის მე-11 მიკრორაიონი, მე-3 კვარტ., ნაკვეთი 01/10.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

ექსპერტმა მოკლედ ისაუბრა წარმოდგენილი პროგრამის თაობაზე და აღნიშნა, რომ სამივე სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროგრამის განხორციელების საჭიროების დასაბუთება, სადაც გაწერილია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2022 წელს ჩატარდა ,,შრომის ბაზრის ანალიზი“, რომლის მიზანი იყო წარმოეჩინა შრომის ბაზარი და მისი მოთხოვნილებები. კვლევის ანალიზიდან გამოიკვეთა, რომ მეცნიერების და ტექნიკის დამხმარე სპეციალისტებიდან მოთხოვნადია ის პროფესიები, რომლებიც უკავშირდება სამოქალაქო

მშენებლობას, წარმოებაში ელექტრო პროცესის კონტროლს, ელექტრონული მოწყობილობების პროექტირებას, მოვლასა და რემონტს. საქართველოს მთავრობის დადგენილება №446 ,,ლიფტის უსაფრთხო ექსპლოატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, პირდაპირ აყენებს მოთხოვნას, რომ ტექნიკურად გამართული ლიფტების ექსპლოატაციაში გაშვებისათვის მფლობელმა უნდა უზრუნველყოს ლიფტის მომსახურეობა სათანადო კვალიფიკაციის მქონე ექსპლოატაციის გამწევი პირის მიერ. აგრეთვე, საქართველოს მთავრობის დადგენილება №289 - ,,ლიფტის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, ცალსახად იკვეთება ლიფტის სპეციალისტის ჩართულობა, დაპროექტების, წარმოების, მონტაჟის და ექსპლოატაციის პროცესებში. შესაბამისად, ლიფტის ბაზარი წარმოშობს მოთხოვნას ამ დარგის პერსონალის პროფესიულ ცოდნაზე და მათ შესაბამის კვალიფიკაციაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯმა გადაწყვიტა მოკლევადიანი გადამზადების პროგრამის ,,ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტის“ დამატება.

პროფესიული გადამზადების პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: - ლიფტების ტექნიკოსად/ელექტრიკოსად მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი სამუშაო გამოცდილება. აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება (პროფესიის მოსინჯვის მეთოდით).

წარმოდგენილი პროგრამა ითვალისწინებს სწავლის 6 შედეგის მიღწევას, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, უნარით ან/და კომპეტენციით.

პროფესიული გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 12 კვირას, პროგრამის მოცულობა შეადგენს 192 საათს. სწავლება განხორციელდება პარტნიორ ორგანიზაციასთან - შპს ლიფტების მართვის და მონიტორინგის ცენტრთან თანამშრომლობით.

დაწესებულებას პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებლად წარმოდგენილი ჰყავს 3 პირი. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით განმახორციელებლებს უდასტურდებათ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სწავლებისთვის შესაბამისი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება.

ვიზიტის დროს მოხდა პროგრამის ორ განმახორციელებელთან გასაუბრება, რომელიც იქნება ძირითადი განმახორციელებელი. აღნიშნული პირები ჩართული იყვნენ პროგრამის შემუშავებაშიც და მათ გამოცდილებასთან ერთად აქვთ მზაობა და სურვილი პროგრამის განხორციელების.

პროგრამისათვის კოლეჯში გამოყოფილია ერთი სასწავლო გარემო (A), სადაც მატერიალური რესურსი გათვლილია ჯგუფში მაქსიმუმ 30 მსმენელზე. კოლეჯს თანაგანმახორციელებლის ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ერთ პარტნიორთან, რომელიც ხელშეკრულების თანახმად, ვალდებულია კოლეჯთან ერთად შეიმუშაოს პროგრამა, ასევე კოლეჯთან ერთად მონაწილეობას იღებს მსმენელთა შერჩევაშიც. ვიზიტის დროს დათვალიერებული იქნა დაწესებულების სასწავლო გარემო, დასტურდება, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს 8 სასწავლო რესურსი, დაწესებულებაში სასწავლო ლიტერატურა გაციფრულებულია. სასწავლო გარემოში არის 5 კომპიუტერი, სადაც მსმენელებს შეუძლიათ მოიძიონ დასახელებული ლიტერატურა. აქვთ პრინტერიც და შეუძლიათ ამობეჭდვა და მასალით სარგებლობა.

ამჟამად კოლეჯი ახორციელებს 12 ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის 5 ინტეგრირებულია, ასევე 17 მოკლევადიან მომზადება/გადამზადების პროგრამას. კოლეჯს 705 მსმენელი ჰყავს, 50 % სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებით. კოლეჯს 2 ცვლაში 1600 სტუდენტის გამტარიანობის საშუალება აქვს.

კოლეჯი აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, რაც დასტურდება ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.
დაწესებულება უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას როგორც ვებგვერდის, ასევე სოციალური ქსელის მეშვეობით. საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ათავსებს ინფორმაციას ვებგვერდზე პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამებისა და არსებული სერვისების შესახებ.
საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, კოლეჯს შემუშავებული აქვს ,,ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის წესი". ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია ციკლზე: დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - გააუმჯობესე. კოლეჯში სასწავლო პროცესის ხარისხთან დაკავშირებული პროცესები მიმდინარეობს აღნიშნული ციკლის შესაბამისად.
კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას.ზრდასრულთა განათლების კოორდინატორს შეჰყავს ყველა ინფორმაცია მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო რეესტრის მწარმოებელი აკონტროლებს რეესტრის შევსების დროულობას და სისწორეს.
თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას.
კოლეჯში სერტიფიკატების გაცემის პროცედურა რეგულირდება დებულებით, რომლის 2.6 მუხლში გაწერილია სერთიფიკატის გაცემის წესის შესახებ დეტალური ინფორმაცია. სერტიფიკატის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს უფლებამოსილი პირი კოორდინატორის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, რომელსაც ახლავს მსმენელთა შეფასების უწყისები. სერტიფიკატთან ერთად გაიცემა სერტიფიკატის დანართი, რომლის შევსებას ახორციელებს ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი, მისი არ არსებობის შემთხვევაში, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირი ან სპეციალურად უფლებამოსილი პირი.
2020 წლიდან დღემდე 6 მოკლევადიან მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სულ ჩაირიცხა 187 მსმენელი, სწავლა დაასრულა და სერტიფიკატი გადაეცა 136 მსმენელს.
დარგის ექსპერტმა პრეზენტაციის ბოლოს წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.
სიტყვა ითხოვა დაწესებულების დირექტორმა, მან მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და დარგის ექსპერტს პროგრამის დადებითი შეფასებისთვის და კიდევ ერთხელ მოკლედ ისაუბრა პროგრამის აქტუალურობაზე, კოლეჯის დირექტორის მიზანია მაღალ დონეზე განახორციელოს პროგრამის სწავლება და მომავალში კიდევ გეგმავს სხვა პროგრამის განხორციელებას და სიმულაციური ლიფტების შეძენას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის „ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი" /01739/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს (ს/კ: 402019917) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი /01739/ **(დანართი 4)**.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 15:40 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01650	ექსტრემალური სპელეოტურის გამყოლი	პროფესიული მომზადება	მეხუთე	3	ქართული	12	წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული, პრომეთეს, მელოურის და ბღერის მღვიმე, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ხავერდოვანას და ფოთოლცვენის მღვიმე

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01747	მძლეოსნობის ინსტრუქტორი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	12	ქართული	16	ქ. თბილისი, ე. ნინოშვილის №55

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01723	ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	12	ქართული	15	ქ. რუსთავი, შარტავას გამზ. №4

დანართი 4

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
01739	ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	12	ქართული	30	ქ. თბილისი, თემქის მე-11 მიკრორაიონი, მე-3 კვარტალი, ნაკვეთი 01/10